**საიდ. N 78118/03**

**IR 1209865**

## **გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 131-03/15**

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), თ. ჯაფარიძე, ს. ებრალიძე, გ. ფანცულაიას მდივნობით განიხილა კომპანიის „ვიკო“ (WIKO) N131-03/15 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 10 ივნისის N1790/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის Wiko (საიდ. N78118/03, IR 1209865) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-9 და 38-ე კლასები).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 10 ივნისის N1790/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი Wiko (საიდ. N78118/03, IR 1209865) მსგავსია კომპანიის „ვიკო ელეკტრიკ ვე ელეკტრონიკ ენდუსტრისი სანაი ვე ტიჯარეტ ანონიმ შირკეტი“ (VİKO ELEKTRİK VE ELEKTRONİK ENDÜSTRİSİ SANAYİ VE TİCARET ANONİM ŞİRKETİ) (მის.: ოსმანგაზი მაჰ., ბატალგაზი ჯად. N29, სამანდირა სტამბოლი (თურქეთი); Osmangazi Mah., Battalgazi Cad. N29, Samandıra İstanbul (TR)) სახელზე მე-9 კლასის მსგავსი საქონლის ჩამონათვალისთვის საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის ოქმით საქართველოზე გავრცელებული და დაცული სასაქონლო ნიშნისა vi.ko (IR 727077, საერთ. რეგ. და გავრცელების თარიღი 1999-08-20) და კომპანიის „ვიკო ელეკტრიკ ვე ელეკტრონიკ ენდუსტრისი სანაი ვე ტიჯარეტ ანონიმ შირკეტი“ (VIKO ELEKTRIK VE ELEKTRONIK
ENDUSTRISI SANAYI VE TICARET ANONIM SIRKETI) (მის.: აბდურაჰმანგაზი მაჰ., ებუბერიკ ჯად. N44, სამანდირა კარტალ, TR-34887, სტამბოლი, (თურქეთი) (TR); Abdurrahmangazi Mah., Ebubekir Cad. N44, Samandira Kartal, TR-34887, İstanbul, (TR)) სახელზე მე-9 კლასის მსგავსი საქონლის ჩამონათვლისთვის საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის ოქმით საქართველოზე გავრცელებული და დაცული სასაქონლო ნიშნისა VIKO (IR 901657, საერთ. რეგ. და გავრცელების თარიღი 2005-10-

17). განცხადებული და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები შესრულებულია ლათინური ასოებით და აქვთ აღრევამდე მსგავსი ჟღერადობა. განცხადებული ნიშნის სტილიზებული შესრულება ვერ ანიჭებს მას საკმარის განმასხვავებლობას. მიუხედავად იმისა, რომ განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების პირველი ასოები განსხვავდება („W“ და „V“), ეს ორი ასო გამოითქმის, იდენტურად, როგორც „ვიკო“. ამასთან, განცხადებული სასაქონლო ნიშნის დაცვა, გარდა მე-9 კლასისა, მოითხოვება 38-ე კლასის მიმართაც. მასში მითითებული მომსახურების ჩამონათვალი მჭიდროდ არის დაკავშირებული მე-9 კლასის საქონელთან. ზემოაღნიშნული მსგავსება ქმნის სასაქონლო ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აღნიშნულის გამო, ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სასაქონლო ნიშანს Wiko (საიდ. N78118/03, IR 1209865) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში მე-9 და 38-ე კლასების განცხადებული საქონლისა და მომსახურების ჩამონათვლის მიმართ.

აპელანტი კომპანია „ვიკო“ (WIKO) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, არ არსებობს განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის დაცვის მინიჭებაზე, ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, უარის თქმის საფუძველი. აპელანტის პოზიციით, დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის არსებობს, როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური განსხვავება. აპელანტის მითითებით, განცხადებული სასაქონლო ნიშნის პირველი ასოა „W“, რომელიც სტილიზებულია ისე, რომ იმავდროულად წარმოადგენს რადიოტალღის სიმბოლოს და მომხმარებელში იწვევს ფრანგული კომპანიის - „ვიკო“ (WIKO) ასოციაციას მის მიერ წარმოებულ პროდუქციასთან, კერძოდ, სმარტფონებთან, მობილურ ტელეფონებთან და მათ აქსესუარებთან. სასაქონლო ნიშნის დანარჩენ ასოებსაც გააჩნია თავისებური ორიგინალური სტილი და შესრულების ფორმა. რაც შეეხება დაპირისპირებულ

სასაქონლო ნიშნებს, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის Vi.KO (IR 727077, საერთ. რეგ. და გავრცელების თარიღი 1999-08-20) პირველი ასო შესრულებულია ლათინური ასომთავრული ასოთი „V“ და სასაქონლო ნიშნის დანარჩენი ასოები ასომთავრულად არის შესრულებული. გარდა აღნიშნულისა, ქვედა დეფისის გამოყენებით ნიშანი გაყოფილია ორ ნაწილად „VI_KO“, რაც განაპირობებს ნიშნებს შორის ვიზუალურ განსხვავებას. რაც შეეხება მეორე დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს VIKO (IR 901657, საერთ. რეგ. და გავრცელების თარიღი 2005-10-17), ის წარმოადგენს ფერად ნიშანს, რომლის ყველა ასო ერთანირი ზომისაა და შესრულებულია სრულიად განსხვავებული ფორმით. კერძოდ, დაპირისპირებულ ნიშანში პირველი ასო - „V“ არის მუქი რუხი ფერის, ხოლო დანარჩენი ასოები ღია რუხი ფერის. ნიშნის მეორე ასო - „I“ წარმოადგენს ვერტიკალურად განლაგებულ სამ წერტილს, რომლის ზემო წერტილი არის ყვითელი ფერის და მასში მოთავსებულია ვარსკლავის გამოსახულება.

აპელანტის განმარტებით, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშნის და აპელანტი კომპანიის დასახელება მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს, ხოლო დაპირისპირებული ნიშნები წარმოადგენენ მფლობელი კომპანიის დასახელების მხოლოდ ნაწილს. მომხმარებელი საქონლის შეძენისას ყურადღებას ამახვილებს არა მხოლოდ სასაქონლო ნიშანზე, არამედ მწარმოებელზე, ეს გარემოება კიდევ უფრო ამცირებს სასაქონლო ნიშნების აღრევის და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

აპელანტის განმარტებით, განცხადებული ნიშნის ჩამონათვალი მე-9 კლასის საქონლის მიმართ კონკრეტულია და ეხება მობილურ ტელეფონებს, სმარტფონებს და მათ აქსესუარებს. დაპირისპირებული ნიშნების მფლობელი კომპანიის საქმიანობის სფერო არის ელექტრო საქონლი, მაგ: როზეტების, ჩანლების, ელექტრობის გადამრთველის, დამაგრძელებლების, ელექტრობის მრიცხველების, ელექტრო შემაერთებლების და ამგვარი საქონლის წარმოება.

აპელანტის აზრით, ექსპერტიზის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ნიშანს უარი ეთქვა 38-ე კლასის მიმართ დაცვის მინიჭებაზე ასევე არ არის კანონიერი, ვინაიდან დაპირისპირებული ნიშნები არ არის რეგისტრირებული 38-ე კლასის მომსახურებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს, „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 10 ივნისის N1790/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის Wiko (საიდ. N78118/03, IR1209865) დაცვის მინიჭებას საქართველოში, საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. N131-03/15) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ვიზუალურად. განცხადებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს შავ ფერში, სტილიზირებულად შესრულებულ სიტყვიერ ნიშანს - Wiko (საიდ. N78118/03, IR1209865). დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი vi.ko (IR 727077) ასევე შესრულებულია შავ ფერში, სტილიზირებულად. დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის განსხვავებას წარმოადგენს მხოლოდ განცხადებული სასაქონლო ნიშნის

სტილიზირებულად შესრულებული პირველი ასო „W”, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის პირველი ასო - „v” და ნიშნის შუაში ჩაწერილი დეფისი. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი (IR 901657) წარმოადგენს სტილიზირებულად შესრულებულ სასაქონლო ნიშანს, რომელიც შესრულებულია შავ, ნაცრისფერ და ნარინჯისფერ ფერებში. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მეორე ასო „I“ შესრულებულია სტილიზიებულად, კერძოდ, იგი შედგება შვეულად განლაგებული სამი წრის ფორმის ფიგურისაგან, რომელიც ვიზუალურად წააგავს ლათინურ ასოს - „I“. განსხვავებას დაპირისპირებულ ნიშნებს შორის წარმოადგენს მხოლოდ მათი პირველი ასოები - „W” და „v” და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების სტილიზირებული შესრულება.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები იდენტურია ფონეტიკური თვალსაზრისით, ვინაიდან სამივე სასაქონლო ნიშანი მომხმარებლის მიერ გამოთქმის, როგორც „ვიკო“.

სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ ვინაიდან დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ჟღერს იდენტურად განცხადებულ სასაქონლო ნიშანს Wiko (საიდ. N78118/03, IR1209865) და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს vi.ko (IR 727077) და (IR 901657) შორის არსებული მცირედი ვიზუალური სხვაობა ვერ უზრუნველყოფს ნიშნებს შორის საკმარის განმასხვავებლობას.

რაც შეეხება საქონლის ჩამონათვალს, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშნის მე-9 და 38-ე კლასის საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის vi.ko (IR 727077) მე-9 კლასის საქონლის ჩამონათვალი განსხვავებულია. ხოლო განცხადებული სასაქონლო ნიშნის მე-9 და 38-ე კლასის საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის (IR 901657) მე-9 კლასის საქონლის ჩამონათვალი მსგავსია, რადგან ორივე სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული პროდუქცია თავისი არსითა და დანიშნულებით, წარმოადგენს ერთგვაროვან საქონელს. ამასთან, მართალია, დაპირისპირებული ნიშანი დაცული არ არის 38-ე კლასის მომსახურების

მიმართ, მაგრამ განცხადებული ნიშნის 38-ე კლასის მომსახურება დაკავშირებულია დაპირისპირებული ნიშნის VIKO (IR 901657) მე-9 კლასის საქონლის გამოყენებით განხორციელებულ მომსახურებასთან და ამ საქონლის გაქირავებასთან, რაც ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას უფრო ზრდის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატის კოლეგია მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი Wiko (საიდ. N78118/03, IR1209865) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი VIKO (IR 901657, საერთ. რეგ. და გავრცელების თარიღი 2005-10-17) წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. შესაბამისად, არსებობს ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის N02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტით და

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ვიკო“ (WIKO) N131-03/14 სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 10 ივნისის N1790/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: თ. ჯაფარიძე

ს. ებრალიძე